სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

17 ივლისი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 105

შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსში - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის – „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 27 დეკემბრის N 149/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ გამოცხადების, კონკურსის პირობების, პროექტის ფორმების და პროექტზე თანდართული დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 28 მარტის N31 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახური უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N880271, 17.07.2025) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსში - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ გამარჯვებული პროექტები:

N	პროექტის შიფრი
1	BS-25-495
2	BS-25-292

2. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2025 წლის 24 ივლისის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ **ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციას არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;**
3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2025 წლის 10 აგვისტოსი.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი